შენობა ნაგებობების დემონტაჟის პროექტი,
ქ. თბილისი, ცამეტი ასურელი მამის ქუჩა №56

დამკვეთი: შ.პ.ს. „დიდი დიღომი პროჯექთ“

არქიტექტორი/შემსრულებელი  გ. ბეჭუაშვილი

ქ. თბილისი 2022წ

შინაარსი

ა/ განმარტებითი ბარათი;

ბ/ კალენდარული გეგმა;

გ/ გრაფიკული ნაწილი:

ნახაზი მო-1----------“სამშენებლო გენგეგმა”;
ნახაზი მო-2----------“სადემონტაჟო სქემა”

ა/ განმარტებითი ბარათი

1. სამშენებლო ტერიტორიაზე /ქ. თბილისი, ცამეტი ასურელი მამის ქ. 56 ს/კ 01.72.14.056.089/ განლაგებულია ასაღები ერთსართულიანი არა დამთავრებული 2 შენობა ნაგებობა წარმოადგენს მხოლოდ კარკასს ცარიელი ღიობებით. კონსტრუქციულად ნაგებობა შედგება ორი ნაწილისგან. ნაწილი წარმოადგენს ნაგებობას რკინაბეტონის მზიდი საკედლე პანელებით და მასზე დაყრდნობილი გადახურვის რკინაბეტონის ფილებით. მეორე ნაწილი არის ძირითადი შენობა. კედლები ამოყვანილია აგურით, გადახურვა შესრულებულია აზბესტის ფურცლებით ხის კოჭებზე. ერთი ნაწილი გადახურულია რუბეროიდის ფენით. წინამდებარე პროექტში განხილულია შენობა-ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოების პირობები და მეთოდები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მტავრობის 2019 წლის 31 მაისის 255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის 39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის 14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად, აღნიშნული სადემონტაჟო 2 შენობა განისაზღვრა მე-2 კლასის შენობებად.

2. ვინაიდან მშენებლობის ხანგრძლივობა არ განისაზღვრება СниП 1.04.03-85 თანახმად და პირობითად მიღებულია 3.00 თვე, სამუშაოთა მოცულობიდან გამომდინარე.

3. მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს:

--უცხო ხალხის გაყვანა სადემონტაჟო უბნიდან;
--სახურავის გაწმენდა და ფენილების მოხსნა;
--შიდა და გარე სივრცის გასუფთავება;
--დროებითი “ნაგებობების” დაყენება თავისუფალ ტერიტორიაზე ჯგუფურად;
--სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით არსებული ქსელებიდან.

4. სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს ზემოდან ქვევით სათანადო კომისიის დასწრებით. უსაფრთხოების მენეჯერი/სპეციალისტის მიერ სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე მოხდეს საფრთხეების იდენტიფიცირება, რისკების შეფასება და პრევენციული ზომების შემუშავება!

აკრძალულია: სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება ორი-სამი კონსტრუქციების ერთად!
სამუშოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული:

კონსტრუქციის დროებითი გამაგრება /საჭიროების შემთხვევაში/, მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა: სპეციალური ქამრებით, რესპირატორებით, დამცავი სათვალეებით, ხმაურდამხშობი საყურისებით, ხელთათმანებით და სპეც. ტანსაცმლით, დემონტირებული კონსტრუქციების დროებითი დასალაგებელი ადგილი, აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ. ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციის გამაგრება. ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში. სამშენებლო ნაგავი დროულად უნდა იქნას გატანილი.

ძირითადი შენობის დემონტაჟი:

კონსტრუქციების დემონტაჟი და გადმოტვირთვა მოხდეს ძირითადად საავტომობილო ამწე KC-3575A-ს საშუალებით.
პირველი ეტაპის დროს მოხდეს ანაკრები გადახურვის ფილების დემონტაჟი---- ამწე მოძრაობს შენობის გარე კონტურთან, ერთ მხრიდან, მიშენების ნაწილში უნდა მოხდეს გადახურვის დაშლა ხელით;
მეორე ეტაპის დროს მოხდეს საკედლე პანელების დემონტაჟი /ამწე მოძრაობს შენობის ირგვლივ/ და მიშენების აგურის კედლების დანგრევა ხელით;
მესამე ეტაპის დროს მოხდეს გრუნტის დამუშავება ხელით და საძირკვლის დანგრევა-ამოღება.

ნაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დროს აუცილებლად გათვალისწინდეს:
--სამონტაჟო ბაქნიანი ლითონის კიბეების დაყენება მუშებისათვის / კონსტრუქციების მიმაგრების ადგილებთან /;
--ანაკრები კონსტრუქციების შორის ნაკერების და კვანძების გახსნა დროებითი გამაგრების გათვალისწინებით;
--ანაკრები კონსტრუქციების სამონტაჟო ყულფების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში ახლის მოწყობა;
--დემონტირებული კონსტრუქციების გადმოტანა და დალაგება სპეციალურ მოედანზე;
--ტრავერსების გამოყენება და მათი პარამეტრების გათვალისწინება ამწის შერჩევის დროს.

მუშა-პერსონალის მუშაობის უსაფრთხოების პირობები:
--მოეწყოს სამუშაო მოედანზე გამაფრთხილებელი და აკრძალავი ნიშნები;
--მემანქანის მუშაობა უნდა განხორციელდეს შესაბამისი სიგნალის შემდეგ;
--ამწის მუშაობისას მუშა არ უნდა იყოს ამწის კაკვის ან ისრის ქვეშ და აგრეთვე ამწის მოსაბრუნებელი ნაწილის ქვეშ;
--მუშების ადგილმდებარეობა სადემონტაჟო ზონაში უნდა იყოს 1.0---1.5მ დაშორებით აწეული ელემენტისაგან;
--აკრძალულია ტვირთის დატოვება ჩამოკიდებულ მდგომარეობაში შესვენების ან სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ.

5. ყველა სამუშაოს განხორციელება მოხდეს საქართველოს მთავრობის მოთხოვნათა გათვალისწინებით:

-- 2007წ 28 მარტის №62 დადგენილება –“მშენებლობის უსაფრთხოების წესები”;
-- 2017წ 27 ოქტომბრის №477 დადგენილება—“სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნები”;
-- 2014წ 1 იანვრის №429 ტექნიკური რეგლამენტი---“ამწე მოწყობილობების მოწყობისა და უსაფრთხო ექსპლატაციის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე;
--2014წ 27 მაისის ტექნიკური რეგლამენტი-----“მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ”
--საქართველოს ორგანული კანონი “შრომის უსაფრთხოების შესახებ”

უსაფრთხოების ტექნიკა, ზოგადი მითითებები:
- უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშნებლო მოედანზე დაუშვებელია.
- მუშა-მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშენებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე ტარდება გამოცდაც.
- სამუშაოების შესრულების დროს საჭიროა ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების დაცვა.
- სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარება დაიშვება ინჟინრების ხელმძღვანელობით, რომლებსაც აქვთ გამოცდილება ასეთი სახის სამუშაოების ჩატარების.
- მუშა-მოსამსახურე პერსონალი დაიშვება სამუშაოდ მხოლოდ 18წ. ასაკიდან.
- სახიფათო ზონები აუცილებლად უნდა იყვნენ აღნიშნულნი და შემოღობილნი ყველა ფაქტორის გათვალისწინებით.
- სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარებამდე და მათი მსვლელობის დროს შენობა და მისი ცალკეული ელემენტები უნდა იყვნენ შემოწმებულნი მდგრადობაზე, თუ ხდება აუცილებელი, სპეციალისტი, რომელიც თვალს ადევნებს სადემონტაჟო პროცესს, იღებს გადაწყვეტილებას მათი გამაგრების დროებითი საყრდენების მეშვეობით ან მიწის უკუჩაყრით და ა.შ.
-სადემონტაჟო სამუშაოების მსვლელობის დროს აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება ამინდის მდგომარეობას, სამუშაოების ჩატარება დაუშვებელია, როდესაც ქარის სიჩქარე აღემატება 10მ/წმ.

ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხი, ზოგადი მითითებები:
-სადემონტაჟო სამუშაოების დაწყება დაიშვება მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ. სამუშაოები აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.
- გატარდეს ღონისძიებები ხანძრის საშიშროების თავიდან ასაცილებლად ამჟამად მოქმედი სანიტარული ნორმების (№30777-84) მიხედვით გატარდეს ღონისძიებები რათა ხმაურის დონე სამუშაოთა წარმოების მიმდინარეობისას არ აღემატებოდეს 55დ.ბ.
-გათვალისწინებული იქნას აგრეთვე სამშენებლო ნარჩენების მინიმიზაცია, პოლიმერული ნარჩენის გატანა ტერიტორიიდან მოხდეს შესაბამისი ნორმების დაცვით.
- სამუშაოების პროცესში წარმოქმნილი მტვრის შემცირების მიზნით მშრალ ამინდში ტერიტორია მოირწყას, ხოლო

სამშენებლო ნარჩენები ტრანსპორტირება მოხდეს დახურული ან ტენიანი ავტოტრანსპორტით.

7. სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად მოხდეს <u>მშენებლობის წარმოების პროექტის</u> დამუშავება სამშენებლო ორგანიზაციის მიერ.

მანქანა-მექანიზმების უწყისი

N	დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	ერთ გან.	რ-ბა
1	სამშენებლო ბაქნიანი ლითონის კიბე ბაქნით	ც	2
2	საკომპრესორო დანადგარი	ც	1
3	სანგრევი ჩაქუჩები	ც	2
4	ნიჩაბი	ც	4
5	ელექტროსახერხი	ც	4
6	სპეცტრანსპორტი	ც	4
7	შემდუღებელი აპარატი	ც	2
8	საავტომობილო ამწე	ც	1
9	ექსკავატორი /ნარჩენების დატვირთვა/	ც	1

თვითმცვლელების ტვირთამწეობა

N	დახასიათება	ГАЗ -335	ЗИЛ-ММЗ-4502	МАЗ-5549	КАМАЗ -5510	КрАЗ -256Б1
1	ტვირთამწეობა, ტნ	3.50	5.80	8.00	12.00	10.00
2	მოცულობა, მ^3	2.50	3.90	5.10	6.00	7.20

შენიშვნა: თვითმცვლელის მარკა შერჩეული იქნას სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად დატვირთული კონსტრუქციების რაოდენობის მიხედვით

ექსკავატრის ჩამჩის მოცულობის რაოდენობა, რომელიც ეტევა თვითმცვლელში

N	ჩამჩის მოცულობა მ^3	ГАЗ -335	ЗИЛ-ММЗ-4502	МАЗ-5549	КАМАЗ -5510	КрАЗ -256Б1
1	0.40	6.00	8.00	12.00	15.00	20.00
2	0.50	5.00	6.00	10.00	12.00	16.00
3	0.65	4.00	5.00	7.00	9.00	12.00
4	2.00	3.00	5.00	6.00	6.00	8.00
5	1.25	-	3.00	4.00	5.00	6.00

შენიშვნა: ექსკავატორის ჩამჩის მოცულობა და თვითმცვლელის მარკა შერჩეული იქნას სამშენებლო ორგანიზაციის სურვილის თანახმად დატვირთული გრუნტის და სამშენებლო ნაგვის მოცულობიდან გამომდინარე ადგილზე.

საქართველო

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, ცამეტი ასურელი მამის ქუჩა, №56-№54 1400კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ს/კ №01.72.14.056.089 მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ს/ს	საცხ. შენობა	ბორდიული	ჭიშკარი
ა/ა	არასაცხ. შენობა	ხის ღობე	ბეტონი
	ფარდული	ღობე	წყალგაყვანილობა
	მშენებარე შენობა	ქვის კედელი	კავშირგაბმულობა
	საწარმოს ჯიხური	კედელი	ელ. ქსელები
	ხეები გარე განათება	ფლატე	ბუნებრივი აირი
		რკინიგზა	სარდაფიანი ინფრასტრუქტურა
		სამეთვალყურეო ჭები	ინტერნეტ ქსელი
		ელ. გადამცემი ხაზი	

შენიშვნა:1) ნაკვეთის საზღვარი (თუ იგი არის ნახაზზე) მითითებულია დამკვეთის მიერ

2) მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს

შპს „ბიემჯი გრუპ“
საქართველო, თბილისი, შარტავას ქუჩა 14
მობ: 598 667070; 577 158039

LTD `BMG GROUP~
14 Sartava St. Tbilisi, Georgia

ტექნიკური დირექტორი:		ზ. ბასილაძე
ახომა:		ნ. ოთხოზორია
დახაზა:		ნ. ოთხოზორია
დამკვეთი:		დალი მელიქიშვილი
მაშტაბი: 1:500		11.02.2021წ.



შეკვეთა	ობიექტის დასახელება	მისამართი	ნახაზის დასახელება	დამკვეთი	არქიტექტორი	თარიღი
A-3	შენობის დემონტაჟის პროექტი	ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ცამეტი ასურელი მამის ქუჩა №56	სამონტაჟო სქემა	შ.პ.ს. „დიდი დიღომი პროჯექტი“	გ. ბეჭუაშვილი	24-08-2022



შრომატევადობა	ობიექტის დასახელება	მისამართი	ნახაზის დასახელება	დამკვეთი	არქიტექტორი	თარიღი
A-3	შენობის დემონტაჟის პროექტი	ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ცამეტი ასურელი მამის ქუჩა №56	სამონტაჟო სქემა	შ.პ.ს. „დიდი დიღომი პროჯექტი“	გ. ბეჭუაშვილი	24-08-2022



ფორმატი	ობიექტის დასახელება	მისამართი	ნახაზის დასახელება	დამკვეთი	არქიტექტორი	თარიღი
A-3	შენობის დემონტაჟის პროექტი	ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ცამეტი ასურელი მამის ქუჩა №56	გეგმა (ანაზომი)	შ.პ.ს. „დიდი დიღომი პროჯექთ“	გ. ბექუაშვილი	24-08-2022

А-3	Фасад по оси 1-1 М 1:50	Д. Отаровић, Ј.Стојчево ред.број 96, Ђурђевдан Лигат бр.бр. №56	Јачо Стојчево (Ѕабуловци)	Ѕабуловци, Општина Ѕелениково	Ѕелениково, Ул. „Јане Сандански“ бр.бр.	24-08-2022
ЗГЛАВЉЕ	ГРАЂЕВИНСКА ДОКУМЕНТАЦИЈА	ЗАХВАТ	ГРАЂЕВИНСКА ПАРЦЕЛА	ЛОКАЦИЈА	ГРАЂЕВИНСКА ДОЗВОЛА	ДАТУМ



ჭრილი 2-2
მ: 1:50



ფორმატი	ობიექტის დასახელება	მისამართი	ნახაზის დასახელება	დაკვეთა	არქიტექტორი	თარიღი
A-3	შენობის დემონტაჟის პროექტი	ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ცამეტი ასურელი მამის ქუჩა №56	ჭრილი (ანაზომი)	შ.პ.ს. „დიდი დიღომი პროჯექტი“	გ. ბეჭუაშვილი	24-08-2022

ქ. თბილისი, სოფ. დიღომი, ცამეტი ასურელი მამის ქ. 56; (01.72.14.056.089)

მაღაზია

მშენებლობის ორგანიზების პროექტი

განმარტებითი ბარათი

გრუნტის დამუშავება მოხდეს უპუჩამჩიანი ექსკავატორით. დამუშავებული გრუნტი მთლიან მოცულობაში უნდა იქნას დატვირთული და გატანილი. გრუნტის და ბალასტის უპუჩყრა მოხდეს ხელით და ბულდოზერით. საჭირო მოცულობა უნდა იქნეს შემოტანილი. წინამდებარე პროექტი ითვალისწინებს სამშენებლო საწეველას და ბეტონის ტუმბოების გამოყენებას, სამშენებლო საწეველა უნდა იყოს დაყენებული დამკვეთის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, სამშენებლო მასალების მიწოდება მოხდეს ქუჩის მხრიდან, ბეტონის ტუმბო განთავსდეს ქუჩის მხარეს საპროექტო ტერიტორიაზე. უსაფრთხო სამუშაოებისათვის გათვალისწინებული დროებითი ფარდულების მოწყობა გათვალისწინებულია ნაკვეთის უკანა მხარეს, ბეტონის ტუმბოს საშუალებით მოხდება რკ.ბეტონის კარკასის მოწყობა და შემდეგ საწეველას დახმარებით სამშენებლო მასალების მიწოდება სართულებზე.

უსაფრთხოების ტექნიკა:
ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცველებზე უნდა მოხდეს ან მანქანის გვერდიდან ან მანქანის უკანა ნაწილის მხრიდან
სამუშაო ადგილები მუშაობის ჰიროებებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებები
ჰიდროიზოლაციის სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთი სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებს და თვსაბურავებს.
მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური ჰირობათა გათვალისწინებით, ამავე დროს მასალა უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ არ მოხდეს მასალის დაცურება
შიშველი სადენების გამოყენება აკრძალულია, იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელ. ქსელიდან გამორთვის გარეშე
სამონტაჟო სამუშაოების დროს მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამუშაოსჯერაციებში დაუსაქმებელ ჰირთა ყოფნა აკრძალულია
სამშენებლო ობიექტი ყოველდღიურად უნდა კონტროლდებოდეს უსაფრთხოების ინჟინრის სპეციალისტის მიერ, საქართველოში მოქმედი უსაფრთხოების კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

მშენებლობის ხანგრძლივობა (27 თვე) და ეტაპები განისაზღვრა სამუშაოს მოცულობის და დამკვეთის შესაძლებლობების შესაბამისად და დაიყო ხუთ ეტაპად

I -ეტაპი დემონტაჟის სამუშაოები, მოსამზადებელი სამუშაოები, სამშენებლო მოედნის მოწესრიგება. 180 დღე

II-ეტაპი შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა ძირითადი ღერძების დაფიქსირება 60 დღე

II რიგი

III-ეტაპი მიწის სამუშაოები, ფუძის სამუშაოები, საძირკვლის მოწყობის სამუშაოები, ძირითადი კონსტრუქციული სიტემის მოწყობა შენობის ნულლოვან ნიშნულამდე 180 დღე

IV-ეტაპი შენობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა, სახურავის და გადახურვის მოწყობა, არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა, ლოკალირი საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა 240 დღე

V-ეტაპი გარე მოსაკირკეთებელი სამუშაოები, მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა 150 დღე

საპროექტო ობიექტის ფუნქცია

მაღაზია

მისამართი

ქ. თბილისი სოფ. დიღომი, ცამეტი ასურელი მამის ქ.56 (საკ.კოდი 01.72.14.056.089)

ტექ. ეკ. მაჩვენებლები

მიწის ნაკვეთის ფართობი 1400 მ^2
განაშენიანების ფართობი 1554.5 მ^2
საერთო ფართობი 1253.9 მ^2

სამშენებლო მოცულობა 5300 მ^3
მათ. შორის
0.000 ნიშნულს ზევით 4900 მ^3
0.000 ნიშნულს ქვევით 400 მ^3

შენობის კონსტრუქციული სიმაღლე 11.6 მ
მათ. შორის
0.000 ნიშნულს ზევით 10 მ
0.000 ნიშნულს ქვევით 1.6 მ

მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს:

-ტერიტორიის გასუფთავება და შემოღობვა დროებითი საფარიანი ღობით

-დროებითო შენობების განთავსება

-სამშენებლო ნაგვის გატანა

-საპროექტო ქსელების გაყვანა

-სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით საპროექტო ქსელებიდან

მშენებლობის ორგანიზების პროექტი დამუშავებულია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილება №255 თანახმად

ТП-5 -ის ტექნიკური დახასიათება

1) ტვირთამწეობა -- 500 კგ.
2) აწევის სიმაღლე -- 70 მ
3) აწევის სიჩქარე --0.5 მ/წ

M-36 -ის ტექნიკური დახასიათება

1) აწევის სიმაღლე-- 35.7 მ.
2) შვერა -- 32 მ.
3) ჩაწევის სიღრმე --24.3 მ.
4) მობრუნების კუთხე -- 360 ^{0}
5) მანქანების ზომები -- 11X3.3X6.3 მ.

დამკვეთი	შ.პ.ს. "დიდი დიღმის პროექტი"
მისამართი	ქ.თბილისი, სოფ.დიღომი, ცამეტი ასურელი მამის ქ. 56
პროექტის სახელი	
მაღაზია	

მასშტაბი	ნახაზის დასახელება	
	მშენებლობის ორგანიზების პროექტი განმარტებითი ბარათი	
სტადია	ფურცლის №	ფურცლები
მ.პ.	A.08.2	48

შემსრულებელი	გიორგი ბეჭუაშვილი	
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
ინჟინერი	გ. ბეჭუაშვილი	



ტექნიკის ტერიტორიაზე განთავსების და შესვლა-გამოსვლისსქემა

ექსპლიკაცია

1 საპროექტო ობიექტი
2 სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი
3 დროებითი დახურული საწყობი
4 დროებითი საარმატურო
5 დროებითი საყალიბე
6 დროებითი ღია სასაწყობო მოედანი
7 დროებითი ღობე
8 დროებითი ჯიშკარი
9 დროებითი მექნიზმების განთავსების ადგილი
10 დროებითი გზა

დამკვეთი	შ.პ.ს. "დიდი დიღმი პროექტი "
მისამართი	ქ.თბილისი, სოფ.დიღომი, ცამეტი ასურელი მამის ქ. 56
პროექტის სახელი	
მაღაზია	

მასშტაბი	ნახაზის დასახელება	
	მშენებლობის ორგანიზების პროექტი განმარტებითი ბარათი	
სტადია	ფურცლის №	ფურცლები
მ.პ.	A.08.2	48

შემსრულებელი	გიორგი ბექუაშვილი	
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
ინჟინერი	გ. ბექუაშვილი	[signature]

٤.٦.٤. ٣٤٥٦٥٦ ٥٦٥٦٥٦ ٥٦٥٦٥٦ ٣	٥٦٥٦٤٤٥٤
٤.٦٨٦٨٥٦٥٦ ٥٦٥٦٥٦ ٥٦٥٦٥٦ ٥٦٥٦٥٦ ٥٦٥٦٥٦ ٥٦٥٦٥٦ ٤٥٦ ٦.	٥٦٥٨٤٥٦٥
٥٦٥٦٨٤٥٦ ٥٦٥٦٥٦	
٤٥٦٥٦٥٦ ٥٦٥٦٥٦	

٥٦٥٦٥٤٥٦	٤.٦.٤.
٥٦٥٦٥٦